ა(ა)იპ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

31.01.2012 № 12

თბილისი

სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 24 იანვრის №12/ნ „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ბრძანებებისა და „მობილობის პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ“ სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2012 წლის 24 იანვრის №84 ბრძანებისა და სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2012 წლის 31 იანვრის №591 დადგენილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ა(ა)იპ – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2011-2012 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან სწავლების ყველა საფეხურზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველებმა, სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პორტალზე რეგისტრაციის შემდეგ (3 – 15 თებერვალი www.eqe.ge), განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია (დანართი 1) უნდა წარმოადგინონ ტექნიკურ უნივერსიტეტში 2012 წლის 16 თებერვლიდან 19 თებერვლის ჩათვლით. საბუთები მიიღება ყოველდღე 10^{00} საათიდან 16^{00} საათამდე (თბილისი, კოსტავას 77, ადმინისტრაციული კორპუსი, მე-3 სართული, ოთახი №350);
2. სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის პროცესების წარმართვა დაევალოს სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის უფროსს ი.ლომიძეს;
3. განცხადებების არსებული წესით რეგისტრაცია დაევალოს სტუ-ს კანცელარიის უფროსს ე.ოხანაშვილს;
4. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დეკანის ფუნქციის შემსრულებლებმა (ზ.გედენიძე, გ.არაბიძე, ა.აბშილავა, ნ.წერეთელი, ო.გელაშვილი, გ.მიქიაშვილი,

რ.ქუთათელაძე, ზ.წვერაიძე) მოამზადონ მოტივირებული დასკვნები და წარადგინონ ისინი სწავლების დეპარტამენტში არსებული წესის თანახმად (დანართი 2) არა უგვიანეს 21 თებერვლისა;

5. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დეკანის ფუნქციის შემსრულებლებმა (ზ.გედენიძე, გ.არაბიძე, ა.აბშილავა, ნ.წერეთელი, ო.გელაშვილი, გ.მიქიაშვილი, რ.ქუთათელაძე, ზ.წვერაიძე) ამ ბრძანების მე-4 პუნქტის რეალიზაციისათვის სწავლების წლის განსაზღვრის ნაწილში იხელმძღვანელონ დანართი 3-ით;
6. ძალაში დარჩეს სტუ-ს რექტორის 2009 წლის 15 ივლისის N 90 ბრძანება;
7. 2011-2012 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან ასიპ – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთა შესახებ ბრძანების პროექტის მომზადება და თანდართული დოკუმენტაციით მისი წარდგენა სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში უზრუნველყოს სწავლების დეპარტამენტმა არა უგვიანეს 2012 წლის 22 თებერვლისა;
8. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს რექტორის მოადგილეს სწავლების დარგში ლ.კლიმიაშვილს;
9. ბრძანება განთავსდეს ასიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი *ა. ფრანგიშვილი*

ვიზები:

რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში
ლ. კლიმიაშვილი

სწავლების დეპარტამენტის უფროსი
ი. ლომიძე

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი
ბ. მაისურაძე

დანართი 1

მობილობისთვის წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

1. განცხადება;
2. პირადობის მოწმობის ასლი;
3. სასწავლო ბარათი (ნიშნების ფურცელი), დამოწმებული ბეჭდით;
4. ატესტატის (დიპლომის) ასლი;
5. ეროვნული გამოცდების სერტიფიკატის ასლი (არსებობის შემთხვევაში);
6. ჩარიცხვის ბრძანების ასლი, დამოწმებული ბეჭდით;
7. სამხედრო მიწერის მოწმობის ასლი (ვაჟებისათვის).
8. დოქტორანტებმა დამატებით უნდა წარმოადგინონ სავარაუდო ხელმძღვანელის რეკომენდაცია.

დანართი 2

საქართველოს ტექნიკური უნივერისტეტის

რექტორის მოადგილე _____ ლ. კლიმიაშვილი

სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსების შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ

(სტუდენტთა გადმოყვანა-მობილობა)

ინფორმაცია სტუდენტის შესახებ:		
სახელი და გვარი:		
სტუდენტის პირადი ნომერი:		
განათლების საფეხური:	❑ პროფესიული უმაღლესი	❑ ბაკალავრიატი
	❑ მაგისტრატურა	❑ დოქტორანტურა

ინფორმაცია გამომშვები უმღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (უსდ) შესახებ:	
გამომშვები უსდ-ს დასახელება:	
გამომშვებ უსდ-ში გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:	
გამომშვებ უსდ-ში სტუდენტის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ბრძანების ნომერი და თარიღი:	

ინფორმაცია მიმღები ფაკულტეტის შესახებ:	
მიმღები ფაკულტეტის დასახელება:	
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:	

სტუდენტის მიერ დაგროვილი კრედიტების ანალიზი:						
საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით სტუდენტის მიერ გამომშვებ უსდ-ში შესწავლილი საგნების ჩამონათვალი (სემესტრების მითითებით)	სასწავლო კურსის მოცულობა,		შეფასება	სტუ-ში საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით საგნების ჩამონათვალი (სემესტრების მითითებით)	სასწავლო კურსის მოცულობა,	
	ECTS კრედი-ტი	აკადემი ური საათი			ECTS კრედი-ტი	აკადემიუ რი საათი

გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის თავსებადობის შესახებ:	
სტუდენტის მიერ გამომშვები უსდ-ში შესწავლილი საგნების რაოდენობა:	
სტუდენტის მიერ გამომშვები უსდ-ში დაგროვილი კრედიტების რაოდენობა:	
მათ შორის სტუ -ს მიერ აღიარებული საგნების რაოდენობა:	
მათ შორის სტუ-ს მიერ აღიარებული კრედიტების რაოდენობა:	

დასკვნა:	
❑ რეკომენდირებულია გადმოყვანა	❑ გადმოყვანა არ არის რეკომენდირებული
შენიშვნა	

ფაკულტეტზე ჩარიცხვის შემდეგ ასათვისებელი საგნების რაოდენობა:	

ასათვისებელი საგნების ჩამონათვალი		
№	საგნის დასახელება	ECTS კრედიტი
	სულ ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა:	

სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის უფროსი:

_____ _____

ხელმოწერა

ფაკულტეტის დეკანი:

_____ _____

ხელმოწერა

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის უფროსი:

_____ _____

ხელმოწერა

აკადემიური დეპარტამენტის უფროსი:

_____ _____

ხელმოწერა

დანართი 3

სტუ–ს შესაბამისი ფაკულტეტების მიერ აღიარებული კრედიტების რაოდენობა	სწავლების წელი (სემესტრი)
საბაკალავრო პროგრამებისათვის	
0–დან 45–მდე 45–დან 120–მდე 120-დან 195-მდე 195–დან	პირველი (მეორე სემესტრი) მეორე (მეოთხე სემესტრი) მესამე (მეექვსე სემესტრი) მეოთხე (მერვე სემესტრი)
მაგისტრატურა	
0-დან 75-მდე 75-დან	პირველი (მეორე სემესტრი) მეორე (მეოთხე სემესტრი)
დოქტორანტურა	
0–დან 60-მდე 60-დან 135-მდე 135-დან	პირველი (მეორე სემესტრი) მეორე (მეოთხე სემესტრი) მესამე (მეექვსე სემესტრი)